პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 ■ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ■ 1978

□ კვირა 26 თებერვალი 1978 წ. □ № 49 (17093) □ ფასი 2 კაპ.

## თერთმეტი კვირა კოსმოსში

ფრენის მართვის ცენტრი, 25 თებერვალი. (საქტასი). დასრულდა იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს კოსმოსური ფრენის მეთერთმეტე კვირა. დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მუშაობის მთელი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე „სალუტ-6" ორბიტული სადგურის ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ და შენარჩუნებული აქვთ დიდი შრომისუნარიანობა. გუშინ კოსმონავტთა კომპლექსურმა სამედიცინო კვლევამ კვლავ დაადასტურა, რომ გულისა და სისხლძარღვთა სისტემის მაჩვენებლები სტაბილურ დონეზეა.

დღეს ეკიპაჟის სამუშაო დღე, ჩვეულებრივ სამებრ, დაიწყო დილის ტუალეტით, სამედიცინო კონტროლით, საუზმითა და ფიზიკური ვარჯიშით. შუა დღემდე კოსმონავტები სამეცნიერო აპარატურას ამზადებდნენ და აკონტროლებდნენ სადგურის სისტემებს დაგეგმილი ექსპერიმენტების განხორციელებისათვის.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „სალუტ-6" — „სოიუზ-27" ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კომპლექსი ფრენას განაგრძობს.

## საინფორმაციო ცნობა
## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

25 თებერვალს IX პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენებისა „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ". განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ს. შულაროვი, გუდაუთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი კ. კ. ოზბანი, პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. დ. ბედუკაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ვ. ი. მეტრეველი, პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ი. ბუნავა, გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი ბ. ვ. ბიბილაშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე დ. ე. სარიშვილი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ ნ. პ. რუდენკომ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა პ. ვ. მელნიკოვი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ო. თ. კულიშევი.

(საქინფორმი).



## აყვავდი, ქართველთ მხარეო!

### საბჭოთა საქართველოს 57-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

## ყოველი დღე, საათი — მხოლოდ დამკვრელური!

### ხუთწლედის ადამიანები



## კომუნისტურ შაბათობაზე!

## ჯილდოს პასუხად

## ექსკურსია ღირსშესანიშნავ თარიღს

## საუბარი კრემლში

**მოვითხრობთ შრომის გმირებზე**

# ჩუმლაყში ვარსკვლავი ამობრწყინდა

[illegible] ...ნებენ მხარს გმირ მეჩაიეებს, მესხმინდელებს...

გმირების ქვეყანაა საქართველო! ეს გმირები ზღვასავით მოლივლივე ყანებში, თვალისა და გულის გამახარებელ ვენახებში, თვალუწვდენელ ჩაის პლანტაციებში, მიწის წიაღთან ბრძოლაში დაიბადნენ.

ქარუმ ბურდიაშვილის აკვანიც, პოეტის თქმისა არ იყოს, ვაზის ძირში დაირწა. მამაც მევენახე შეავდა, პაპაც და პაპის პაპაც... კახელ კაცს ვაზის სიყვარული ჯიშით მოსდგამს, სისხლში აქვს გამჯდარი. ოდითგანვე კახელი კაცის ეზოში სულ მაჭრის სუნი ტრიალებს, მისი ავნის სვეტებზე სულ ჩხაკიდი ელვარებს, ხელები სულ შაბიამნით აქვს გალურჯებული, მის მარანში სულ ნაპერწკლებს ისვრის კამკამა ღვინო, მის გულში კი სულ მაჭარივით დუღს და გადადუღს ვაზის სიყვარული.

რთველს რომ მორჩებოდნენ, ვენახში მწვადის სუნი რომ გაიფანტებოდა, მერე კი ეზოში თავმომწმული გოდრებით დატვირთული ურემი რომ შემოჭრიალდებოდა. სხვა რაზე უნდა ეოცნება ამ სილამაზის შემხედვარე, ამ სიხარულით გულსავსე ბავშვს და, ქარუმ ბურდიაშვილიც ყმაწვილობიდანვე მევენახეობაზე ოცნებობდა.

ცოტა წამოიზარდა თუ არა, სხვლაში, ფურჩნაში, თოხნასა და რწყვაში ხელს აშველებდა მამას... მერე დაკაცდა, დაჭარმაგდა, თვითონ გახდა ოჯახის ბურჯი, სახლ-კარის გამძღოლი და ვენახის მოამაგე. მალე ჩუმლაყშიც ხალხმა კოლექტიურად დაიწყო შრომა, გუთანი ტრაქტორმა დაჯაბნა, წვრილ-წვრილი ვენახები თვალუწვდენელ ზვრებად გადაიქცა, იმატა ხვავმა და ბარაქამ, და ქარუმას გულშიც ალად ავარდა ხალისის ნაპერწკალი.

ხალისმა და სიყვარულმა თავისი გაიტანა — ქარუმ ბურდიაშვილი კოლმეურნეობაში თითით საჩვენებელი მევენახე გახდა. მუყაით მევენახეს კი დიდი საქმე მიანდეს, ბრიგადა ჩააბარეს. ბრიგადირობა ის ასპარეზი გახდა, სადაც უფრო თვალნათლივ გამოჩნდა ქარუმას უნარი და გამჭრიახობა.

ცუდად როდი მუშაობდა ქარუმ ბურდიაშვილის ბრიგადა, კოლმეურნეები არცერთ წელიწადს არ ყოფილან გულნაკლული მოსავლით, ბრიგადირს არც შრომის ხალისი აკლდა და არც გამოცდილება, მაგრამ გრძნობდა, რომ სხვა რამეც იყო საჭირო, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მის ავტორიტეტს, დაეხმარებოდა უფრო დიდი წარმატებების მოპოვებაში. ეს სხვა რამ თეორიული მომზადება გახლავთ. და ქარუმაც ხარბად დაეწაფა ცოდნის წყაროს — დაუსწრებლად დაიწყო სწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. დღისით ოფლს ღვრიდა, ვაზის მწკრივებში ტრიალებდა, თანამოსაქმეებს რაზმავდა, რომ შვილივით ნაფერებ და ნალოლიავებ ვაზს გვალვაში წყალი არ მოჰკლებოდა, ფესვები არ გახმობოდა და მტევანს მარცვლები არ ჩაჰკნობოდა, ღამით კი წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, მეცნიერების მიღწევებს ეუფლებოდა, რომ სხვათა ცოდნა და გამოცდილება თავის საქმიანობაში გადმოეტანა. თვითონ რომ სწავლობდა, სხვებსაც ასწავლიდა.

არც სწავლას ჩაუვლია უნაყოფოდ და არც შრომას. გულმოდგინებას, დაუზარლობას ყოველდღე, ყოველთვის, ყოველ წელს გამოჰქონდა სასიკეთო ნაყოფი. წელი წელს ემატებოდა და ქარუმ ბურდიაშვილის ბრიგადის უკეთესი მოსავალი — უფრო უკეთეს მოსავალს. ამ მოსავლის ცენტნერობითა და ტონობით ამსახველი ციფრები გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, მეათე ხუთწლედის მეორე წელს კი ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 132 ცენტნერი ქარვისფერი მტევანი დაახვავა. ამ ბრიგადის წევრებმა ყველას აჯობეს თავიანთ კოლმეურნეობაში, თუმცა არც მთლიანად კოლმეურნეობას შეურცხვენია თავი — 657 ჰექტარი მსხმოიარე ვენახიდან თითოეულ ჰექტარზე 115 ცენტნერი მიიღეს, გეგმა კი 82 ცენტნერს ითვალისწინებდა.

— შარშანდელი წელიწადი ხომ ნავსიანი გამოდგა ქართველი მევენახეებისათვის, — ამბობს ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალიკო უტიაშვილი. — ჯერ იყო და გაზაფხული ადრე დადგა, ერთბაშად ბევრი საქმე მოჯარდა. ამის შემდეგ ხშირწვიმიანობა დაიწყო, სარეველა მოეძალა ვენახს, მერე ჭრაქი და ნაცარი დაგვემუქრა, მაგრამ ვერც ამან შეგვაშინა, რადგან ჩუმლაყელ კაცს, როგორც ყველა ქართველს, ვაზი მართლაც შვილივით უყვარს და შვილს გაჭირვებაში ვინ არ უპატრონებს.

მერე ცოტა სეტყვამაც ხომ გაჰკრა გვერდი ჩუმლაყის ვენახებს! სიძნელე სიძნელეს ემატებოდა, დილით რომ შეწამლავდნენ ვენახს, საღამოს წვიმა ისევ ჩამორეცხავდა და მეორე დღეს ისევ შეწამლავდნენ. ზოგან ათ-თორმეტჯერაც მოუხდათ ზვრების შეწამვლა. კარგად თქვა თავმჯდომარემ, ასეთ ჯაფას მევენახეები ვაზის სიყვარულით იტანდნენ, რადგან მათ კარგად იციან, რომ ვაზია გლეხკაცის დამქორწინებელიც და დამმარხავიც, ის არის ჩვენი ძლიერების პირველწყარო.

ბიჭობა სწორედ ის არის, რომ ცუდი ამინდები იყო, გაჭირვება იყო და მევენახეებმა მაინც გაიმარჯვეს!

სოციალისტური შეჯიბრება იმიტომ არის სოციალისტური, რომ ის უპირისპირდება ჭიბრსა და მეტოქეობას. გამარჯვების სირთულეს გულისხმობს. ამიტომაც არის, რომ ბურდიაშვილის გამარჯვებამ გული სიხარულით აუვსო მასთან შეჯიბრებაში ჩაბმულ მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ჭივი კენკიშვილს, რომელმაც გულით მიულოცა მეგობარს შრომაში გამარჯვება.

მივულოცოთ ბედნიერ და მდიდარ ადამიანს! ჩვენს სინამდვილეში სიტყვა „მდიდარს" სხვა ჟღერადობა ენიჭება. ლენინისა და „საპატიო ნიშნის" ორდენები, მედლები, სწავლული აგრონომის დიპლომი, გმირობის ოქროს ვარსკვლავი, ხალხის სიყვარული, ჯანმრთელობა, შრომის ხალისი და პატიოსნება — უკეთესი სიმდიდრე და ბედნიერება რა უნდა ინატროს კაცმა.

დღეს როცა ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ბრძოლაა გაჩაღებული ყოველგვარი ცუდის, მანკიერის აღმოსაფხვრელად, პატიოსნების, სიკეთისა და სიწმინდის დასამკვიდრებლად, სწორედ ასეთი ადამიანების ცხოვრება და საქმიანობა გამოადგება ჩვენს ახალგაზრდობას იმის მაგალითად, თუ რით უნდა იამაყოს ადამიანმა, რა არის ცხოვრებაში ადამიანის დანიშნულება, რა არის ჭეშმარიტი სიმდიდრე და ბედნიერება.

ბედნიერების სხივებს არც ძვირფასი ალმას-ლალები აფრქვევს და არც სრა-სასახლეები. ეს სხივები იმ ვარსკვლავებიდან იფრქვევა, ალალი შრომა რომ ააკიაფებს ღირსეული ადამიანის მკერდზე.



ასეთი ვარსკვლავით მკერდდამშვენებული შეხვდა ვაზის მინდია ქარუმ ბურდიაშვილი საბჭოთა საქართველოს დაბადების ნათელ დღეს.

გუშინ ქარუმ ბურდიაშვილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა, „კომუნისტის" რედაქციას ეწვია. ჩვენ კიდევ ერთხელ გულითადად მივულოცეთ მას სამშობლოს დიდი და საპატიო ჯილდო და ახალი წარმატებები ვუსურვეთ შრომასა და პირად ცხოვრებაში.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა, — გვითხრა გმირმა მევენახემ, — უაღრესად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხი განიხილა და მისი წარმატებით გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებიც მოგვცა. დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაზოგავენ ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და უახლოეს ხანებში სასიკეთო შედეგებსაც მოიპოვებენ.

□

ქვეყანას ელვის სისწრაფით მოედო ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის კიდევ ოთხი დაუღალავი მზრუნველის, მათ შორის ქარუმ ბურდიაშვილის გმირობის ამბავი. მათ გულითადად ულოცავენ ჩუმლაყელი თანამოსაქმეები, ქართველი მევენახეები, მუშები და გლეხები, ინტელიგენცია. „კომუნისტის" რედაქციამ სასიამოვნო წინადადება მომცა — ქართველმა მწერალმაც თქვას თავისი სიტყვა ამ ახალ გმირებზეო, და ეს პატარა ნარკვევიც მილოცვის ალალი სიტყვა ყოფილიყოს!

**ალექსანდრე გეგაშვილი,**
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.
ქ. გურჯაანი.

# კავშირგაბმულობის მუშაკთა ამოცანები

გაიმართა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ი. კობახიძემ გააკეთა მოხსენება — კავშირგაბმულობის ორგანოების 1977 წლის საქმიანობის შედეგები და ხუთწლედის მესამე წლის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

მომხსენებელმა და სხდომის მონაწილეებმა თქვეს, რომ საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით შეასრულეს 1977 წლის გეგმა. მიღებულია 600 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მარნეულში, ჭიათურასა და სიღნაღში აშენდა კავშირგაბმულობის კვანძების შენობები, გაიხსნა 28 კავშირგაბმულობის განყოფილება, მათ შორის 20 — სოფლად. გაიზარდა საქალაქთაშორისო სატელეფონო არხების სიგრძე, გარკვეული მუშაობაა გაწეული სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ქსელის განვითარებისათვის.

სხდომაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა საქმიანობაში არცთუ ისე ცოტა ნაკლია, ბევრმა კავშირგაბმულობის საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა ისეთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ზრდა.

არ აღმოფხვრილა წერილების, გაზეთებისა და ჟურნალების ადგილზე დაგვიანებით მიტანის ფაქტები, რაც მშრომელთა სამართლიან საყვედურს იწვევს. სატელეფონო კავშირგაბმულობით მოსახლეობის მომსახურება ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. საქალაქო და სასოფლო სატელეფონო კავშირგაბმულობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლოატაციის დონე არცთუ სახარბიელოა. ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში არის ფაქტები, როცა ბინებში სატელეფონო ხაზების გაყვანის დროს ირღვევა არსებული წესები.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკებმა იკისრეს 1978 წლის ვალდებულებანი. მათ გადაწყვიტეს განაგრძონ ტრადიციული შეჯიბრება აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკებთან, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივთან.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე.

(საქინფორმი).

**— მთათუშეთის ყოველ სოფელს — სიცოცხლე!**

# მთანიცა აყვავდებიან

ამბობენ, ერთხელ წინათ, თურმე ყანაში მიმავალმა კახელმა კაცმა ბილიკზე მკვდარი ტოროლა შენიშნა და გულწრფელი სინანულით მიესათუთა — შე საბრალოვ, როგორ თუშივით გზაზე ამოგხდომია სული.

ეს უწყინარი სხარტულა, რომელშიც მთქმელს ცხოვრებისეული სიმართლე ასე ოსტატურად ჩაუქსოვია, ერთდროულად ღიმილსაც მოჰგვრის ადამიანს და სევდასაც. ღიმილის მომგვრელი მასში შედარება თუა უმწეო ფრინველისა ჯან-ღონით აღსავსე ადამიანთან, თორემ თვით ნათქვამის დედაზრი, რომელიც თუში მომთაბარის სიფათით აღსავსე ცხოვრებაზე მიგვანიშნებს, სევდის მომგვრელი და დამაფიქრებელია.

თუშმა კაცმა ოდითგანვე გზას დაუკავშირა თავისი ცხოვრება. ასეთი იყო მისი საქმიანობის სპეციფიკა — მეცხვარეობა, რომელიც საქართველოს პირობებში უმთავრესად ადგილმონაცვლეობასთანაა დაკავშირებული. გზა იყო მწყემსისა და მისი ჯალაბის საზრუნავი, საფიქრალი.

ახლაც მწყემსობაში — ტყუილად როდი ამბობენ, ჩვენი გზა ხარჯიანიაო, და პუროვად რომ შეიყრებიან ბიჭები, ჭირის სუფრა იქნება თუ ლხინისა, პირველ რიგში ჭიქებს თავს მოუხრიან და მთა-გზაში ცხენ-საკაცით ნაზიდთა შესანდობარს იტყვიან.

ასეც ყოფილა თურმე დასაბამიდან: მგელი, ბოროტი კაცი, წყალი თუ ქვა-საგორავი, თოფი და ქამანდი — ყველა თუშის გზას ებედებოდა.

...ოქტომბრის მზის ცხოველმყოფელი სხივი თუშეთსაც მისწვდა. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში დაიგეგმა და უმოკლეს ვადებში გაიყვანეს თუშეთ-კახეთის მაერთებელი საცხენე გზა, რომელმაც ერთიორად შეამოკლა მწყემსის სავალი მანძილი. ორმოცდაათიანი წლებიდან კი თვითმფრინავიც ჩადგა მომთაბარის სამსახურში. ახდა თუში მეცხვარის ოდინდელი ოცნება. მართალია ფრენა თელავის აეროდრომიდან ხდებოდა, რაც ახმეტაში მცხოვრები კაცისთვის გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რაკიღა მან მგზავრობის უახლეს საშუალებათა სიკეთე გამოსცადა, ასეთ სიძნელეს რას შეუშინდებოდა. გახარებულმა მაშინვე თავიდან მოიცილა მამა-პაპური ტრანსპორტი — ცხენი და ჯორი. ასევე მოიქცნენ კოლმეურნეობებიც, დაიტოვეს მხოლოდ იმდენი მებარგული ცხენი, რამდენიც დასჭირდებოდათ აეროდრომამდე ბარგის საზიდად.

გავიდა წლები. თუშეთში ფრენაც გაჭირდა, ხოლო ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ თელავის აეროდრომი და თვითმფრინავი მწყემსისა და მისი ჯალაბისათვის ტანჯვა-წვალების სიმბოლოდ იქცა. არაერთი შემთხვევა დაასსომდათ მაშინდელ მწყემსებს, როცა კვირით კვირობამდე თელავის აეროდრომზე, ღია ცისქვეშ ღამენათევი, ბუნებისა და კაცისგან გაწბილებული, ბოლოს იძულებული იყო ჯალაბი კვლავ ალვანზე გაეტარებინა, ხოლო თვითონ ფეხით შესდგომოდა მამა-პაპურ ბილიკებს, რათა როგორმე „სულზე მიესწრო" ბრიგადაში უკაცოდ დარჩენილი ამხანაგებისათვის.

ასე ცდებოდა საქმეს ათობით საჭირო ხელი იმ დროს, როდესაც ბრიგადაში უკაცობის გამო ცხვრის წველა ჭიანურდებოდა, ცხვარი ლუბდებოდა, ხალხს ტონობით ყველი, მატყლი, ხორცი აკლდებოდა.

სწორედ ამან განსაზღვრა თუშეთის ბედი. ერთიმეორის მიყოლებით ჩაბრუნდა და ჩანაფუძარდა უპატრონოდ მიტოვებული სახლები. თუშეთი გაუკაცურდა, დადუმდა, თითქოს სამუდამოდ ძილს მიეცა დიდი ხნის შრომითა და ბრძოლით დაღლილი. საბატკნე სორხებში გაბნეულ მწყემსურ პოეზიას სევდისა და უიმედობის სუსხი შეეპარა. ამაზე მეტყველებს კლდეზე ამოტვიფრული პატარა ლექსები. პირველი 1939 წლითაა დათარიღებული, მეორე კი ზუსტად ოცი წლის შემდეგ ლაროვანის საბატკნე სორხში არხოჯის ყორეზე ვინმე ლ. ლუხუმაიძეს ამოუკაწრავს, რომელიც ჩვენი აზრით, კომენტარს აღარ საჭიროებს:

> დავხედე საპირიქითოს,
> ცრემლით ამევსო თვალია,
> ჩამონგრეული სოფლები,
> საზარი სანახავია,
> ტიალად დამრჩალ ჭალაზე
> მოშხუის ალაზანია...

ამ სულიერ მერყეობასა და ფიქრთა ჭიდილში გაატარა თუშმა კაცმა ის წლები, რომლებიც ახლა ნეგატიურ მოვლენების წლებად არის ცნობილი. მართალია ამ წლებმა საბოლოოდ ვერ გატეხეს მისი ნებისყოფა, მაგრამ მაინც თავისებური კვალი დააჩნია მის ამაყსა და უხინჯო ბუნებას. თუმცა რწმენა მაინც არ დაუკარგავს.

რაკი რწმენაზე ჩამოვარდა სიტყვა, მოდი ვნახოთ ჩვენი ცხვარ-მეცხვარის ცხოვრება ახლოდან. სამიოდე თვის წინანდელი ამბავი გამახსენდა, როცა ალვანის მეცხვარეობის ერთ-ერთ მოწინავე ბრიგადას ვეწვიე. ბრიგადას გამოცდილი კომუნისტი, უხუცესი სარქალი ექვთიმე თავბერიძე ხელმძღვანელობს.

უშველებელი ნავაზის გვერდით ყმაწვილი წევს გულაღმა, ნაბადში გახვეული და მშვიდად სძინავს.

— დითო! დითუჩი! — აღვიძებს სარქალი. — ეი, ძილაგუდა!

— რა გინდა, შიო პაპა, რა იყო?!

— ადე, შვილო, რა ხანია გათენდა. ადე, კოჭლები დაესინჯოთ, სანამ აიშლებიან.

კარგა ხანია ბიჭი სარქალთან დამხმარეობს. იგი აქ ზემო ალვანის საშუალო სკოლიდან გამოსულა ზაფხულის არდადეგებზე, საწარმოო პრაქტიკა გაუვლია და თუშური ყველის დამზადების ტექნოლოგიას ეუფლება შიო პაპასთან. სხვათა შორის, მარტო დითო შანქოშვილი კი არა, შარშანდელ ზაფხულს ათამდე სხვა პიონერი და კომკავშირელი განაწილებულა მებატკნეებთან დამხმარედ.

— სატრაბახო მაინცდამაინც არაფერი გვაქვს, გვითხრა სკოლის დირექტორმა მათე ბაიხოიძემ, — გარდა იმისა, რომ ჩვენმა სკოლამ კვლავ შეძლო აღედგინა ძველი მივიწყებული ტრადიცია, როცა თუში მოსწავლეობა ზაფხულის არდადეგებს მამების გვერდით ატარებდა, იაილაებზე. ასე იყო ომამდე, ასე გაგრძელდა ომის წლებშიც. როცა მამა-ბიძები ჯარში გაიკრიფნენ, მათი ადგილი სწორედ ამ ჯერ კიდევ პირშეულინლავმა ჭაბუკებმა დაიკავეს და თავიანთი წილისხვედრი ჭაპანი ბოლომდე ნამუსიანად გასწიეს. სამწუხაროდ, ეს კარგი ტრადიცია რატომღაც დავიწყებას მიეცა. მოსწავლეთა უმრავლესობამ ზურგი შეაქცია მამა-პაპათა ხელობას და ბევრი მუქთახორობას მიეჩვია... ეს სწორედ ამ გარემოებებს თუ გავითვალისწინებთ, — განაგრძობს სკოლის დირექტორი, — მაშინ ცხადია: ის ბავშვები, რაც ამჟამად ჩვენ [illegible]

პატივცემული ექვთიმე კმაყოფილებით გვესაუბრება თავისი ბრიგადის გეგმებზე ახალი მომავლისათვის.

— გეგმები კარგი გვაქვს, ას ნერბზე ას ხუთი ბატკანი...

— ას ნერბზე ას ხუთი ბატკანი საიდან, ძია ექვთიმე?

— შრომიდან და გარჯიდან. ათი წელია წვალობენ ბიჭები მეტყუპე ნერბის მომრავლებაზე...

— გასაგებია. მატყლზე როგორი იმედებია?

— მატყლიცა და კრაველიც კარგ იმედებს იძლევა.

— კარგი, ბიძია, გატყობ, არ გინდა ყველაფერი ბოლომდე მითხრა. ორიოდე შეკითხვა კიდევ და მეტს აღარ შეგაწუხებ. როგორი საცხოვრებელი პირობები გაქვთ ამჟამად ახმეტელ მეცხვარეებს, საერთოდ?

— შესანიშნავი! უკეთესს რომ ვერ ინატრებ: გათბობა, განათება, რბილი საწოლები, სუფთა ლოგინი, რადიო, ტელევიზორი, ჟურნალ-გაზეთები, საექიმო მომსახურება. ერთი სიტყვით დიდ განცხრომაში ვართ საზამთრო ბინებზე...

— აეროდრომი როგორ გემსახურებათ?

— უხინჯოდ. ამინდი თქვი შენ, თორემ დღეში სამ-ოთხ რეისს დანიშნავს უფროსი, თუ საჭიროებამ მოითხოვა. ახლა მფრინავებს აღარ ეკითხება, ვეფხვივით ბიჭები არიან, კლდის ქიმზე დასვამენ თვითმფრინავს ცხვარ-მეცხვარის გულისთვის...

— ერთიც, ძია ექვთიმე. გეკითხებით, როგორც გამოცდილ მეცხვარეს, თუშეთის ავ-კარგის მცოდნეს. ახლა, როდესაც მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა რეზერვების ძებნაშია ჩაბმული, თქვენ ვერ დაგვისახელებდით ასეთ რეზერვებს თუშეთის პირობებში?

— რეზერვების მეტი რაა, შე კაი კაცო, გამოყენება თქვი შენ, თორემა... აბა გადიხედე აქედან, ფარსმას ხედავ? რამდენი სახნავ-სათიბი აკრავს გარშემო, რომელსაც ომის შემდეგ გამრჯე კაცის მარჯვენა არ შეხებია. არის უტყუარი ცნობები, რომ შამილის ომების დროს ამ სოფელში სამასამდე კომლი ცხოვრობდა ზამთარ-ზაფხულ. ახლა შენ მიპასუხე, სამას კომლს ხომ ეყოლებოდა სამასი ძროხა?

— კი, ბატონო, მეტი თუ არა.

— აგაშენა ღმერთმა, ფარსმისთანა და მაგაზე კიდევ უკეთესი ორმოცდათორმეტი სოფელია თუშეთში... გაამრავლე ახლა ეგ შენი სამასი სული ორმოცდათორმეტზე, რამდენს მიიღებ?

— ხუთმეტი ათას ექვსასი სული.

— არ გვინდა თხუთმეტი, ავიღოთ ათიათასი სული ადგილობრივი რესურსებით გამოკვებილი. პატარა რეზერვია?!.. ერთი ადრე და მალე შემოგორდეს მანქანა ამ ხეობაში, მაშინ მიხვდებით რა შესძლებია თუშეთს.

ვემშვიდობები ჩემს გამცილებელს და საგომეწრო ბილიკზე დიდხანს მომყვება ფიქრი თუშეთის აწმყოსა და მომავალზე.

**პ. ქაძე.**
ახმეტის რაიონი, ზემო ალვანი.

**ხარისხი წარმოების სარკეა**

# მომხმარებელი რომ კმაყოფილი იყოს

პარტიის მოწოდება — ხარისხის ხუთწლედს ხარისხიანი პროდუქცია! — ჩვენი საქმიანობის მთავარ დევიზად იქცა.

წარმოების ყველა ძირეული რგოლისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებამ და საქმისადმი შემოქმედებითმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ ბოლო დროს ჩვენთან საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ჩვენს მიღწევებზე ასევე თვალნათლივ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საიუბილეო წელს ზედიზედ მესამედ მოვიპოვეთ საკავშირო გარდამავალი დროშა.

მომხმარებელი დღეს სიამოვნებით იძენს ჩვენს ნაწარმს, მამაკაცისა და ბიჭის ზედა ტანსაცმელს, პერანგებს და სხვ. ეს კი განსაკუთრებით სასიხარულო და საპატიოა ჩვენთვის, მკერავებისათვის, რომელთა უშუალო შრომითაც იქმნება დოვლათი. ამ წარმატებაში ჩვენს ბრიგადასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი. საოქტომბრო ნაკისრი ვალდებულება ვადამდე ორი თვით ადრე — პირველი სექტემბრისათვის გავანაღდეთ და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი. თუ ხუთწლედის პირველ წელს ჩვენ მიერ გამოშვებული ხარისხისნიშნიანი პროდუქცია 30,5 პროცენტს შეადგენდა, გასულ საიუბილეო წელს მან 78,6 პროცენტს მიაღწია. ეს ჩვენი საბოლოო სიტყვა როდია. ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის და ხარისხისადმი კონტროლის მტკიცე რეჟიმის დადგენის გზით განზრახული გვაქვს უმოკლეს ხანში მხოლოდ საპატიო ხუთკუთხანიშნიანი ნაწარმი გამოვუშვათ.

ამჟამად ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, საკმაოდ უსწრებს დროს და პროდუქციას 1978 წლის მაისის ანგარიშში უშვებს. ხარისხისნიშნიანი პროდუქცია დღეისათვის საწარმოს მთლიან მოცულობაში თვრამეტ პროცენტს შეადგენს. აქედან ხუთი პროცენტი კი ჩვენი ბრიგადის ანგარიშზე მოდის.

ეს პროდუქციის ხარისხისათვის კოლექტიური ზრუნვის შედეგია. ბრიგადის წევრები ხშირად ვიკრიბებით და ფაბრიკის ტექნოლოგებს ვუზიარებთ ჩვენს მოსაზრებებს ახალი ნიმუშის ნაწარმის ათვისების პერიოდში, შეგვაქვს კორექტივები.

აი მაგალითიც. ამჟამად ჯინსის ქსოვილისაგან ბიჭის კოსტიუმებს ვკერავთ. სწორედ ჩემი წინადადებით იქნა შეცვლილი მასზე საქამრისა და სამაჯეების დამუშავების ტექნოლოგია, რამაც საგრძნობლად შეამცირა ამ ოპერაციებისათვის განკუთვნილი დრო და გააუმჯობესა ხარისხი. ამ სიახლემ საშუალება მოგვცა ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით გამოგვეშვა 30 ცალი კოსტიუმი.

ბრიგადის წევრების — მარინე ოდიშარიას, თამარ ახალბედაშვილის, დეზდემონა ბასილაშვილის, ნელი რაინაულის, დალი გაბოძის, დოდო კუჭაშვილის, ლია ხვედელიანისა და სხვების დიდი დამსახურებაა ის, რომ ჩვენი ბრიგადა ყოველთვიურ დავალებას სისტემატურად 25-30 პროცენტით აჭარბებს. ტექნოლოგიური პროცესების დახვეწამ დიდად შეგვიწყო ხელი იმაში, რომ ზოგიერთი ნაწარმის შეკერვისათვის განკუთვნილი დრო საგრძნობლად შეგვემცირებინა. მაგალითად ბიჭის ჯინსის კოსტიუმის შეკერვას ბრიგადა 2,79 საათს ანდომებს, რაც საკავშირო დადგენილ დროზე 9,2 პროცენტით ნაკლებია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილთან დაკავშირებით მეათე ხუთწლედის მესამე წლის ყოველი დღე დამკვრელურად გამოვაცხადეთ. ბრიგადის თითოეული წევრი თავდაუზოგავად იღვწის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების წარმატებით გასანაღდებლად, რათა ხუთწლიანი გეგმა 1979 წლის პირველი ოქტომბრისათვის შევასრულოთ, ყველა პირობაა იმისათვის, რომ სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

**ეკ. გელაშვილი,**
თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ბრიგადირი, ლენინის ორდენოსანი.

## პარტიული ცხოვრება

### მ. ულიანოვას გახსენება

100 წელი შესრულდა რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილის, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, ჟურნალისტის, ვ. ი. ლენინის დის და უახლოესი თანაშემწის მ. ი. ულიანოვას დაბადებიდან.

ამ თარიღთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით მუზეუმს ესტუმრა დედაქალაქის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ჯგუფი.

ულიანოვების ოჯახის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია ჟურნალისტებს გააცნო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ლექტორმა გ. კაპანაძემ. მ. ულიანოვას რევოლუციურ და ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე ისაუბრეს მუზეუმის საექსკურსიო ბიუროს გამგემ ქს. ქორიძემ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა ჟურნალისტმა ბ. თათარიშვილმა.

თბილისელი ჟურნალისტები გაეცნენ აგრეთვე ფილიალის გახსნილ ექსპოზიციას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონს — სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას ეძღვნება.

### თეორიულ კონფერენციაზე

ჩხოროწყუ. პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კომუნიზმის მშენებლობის გზის ისტორიული მიჯნაა".

კონფერენციაზე გაამუქეს თემები: „სკკპ ხელმძღვანელი როლის ზრდა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში", „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშნები", საბჭოთა ხალხი — ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა", „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ხალხთა ფართო მასების შემოქმედების ნაყოფია".

**ი. ნამუება.**

## ინფორმაცია

### სწავლობენ ისტორიულ მასალებს

ზუგდიდი. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების კომკავშირულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტწრე, რომელიც 26 მსმენელს აერთიანებს, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ახალი ისტორიული მასალების შესასწავლად.

შემუშავებულია სპეციალური თემატიკა, რომლის მიხედვით იკითხება ლექციები, ეწყობა თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები.

ვსწავლობთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიას „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა". ეს სწავლება მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი კოლექტივის კონკრეტულ საქმიანობას მეათე ხუთწლედის დიდი ამოცანების უთუო შესრულებისათვის.

**ვ. ქორთუშვილი,**
პროპაგანდისტი.

### დღევანდელ პრობლემებს მიეძღვნა

ზესტაფონი. შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტში" ჩატარდა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მოქმედებს", რომელიც საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომმა, რაიონული გაზეთის „ლენინელის" რედაქციამ და საზოგადოება „ცოდნის" რაიონულმა ორგანიზაციამ მოაწყვეს.

მოხსენებები გააკეთეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა კ. კიტიამ და საზოგადოება „ცოდნის" ზესტაფონის ორგანიზაციის ლექტორმა ბ. მაჩიტიძემ.

თეორიულ-პრაქტიკულმა კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები სსრ კავშირის კონსტიტუციისა და პარტიის სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების ღრმად შესწავლისათვის, რომ ხუთწლედის დამკვრელურ, მესამე წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნეს 150 ათასი მანეთის პროდუქცია.

**ა. ჯაფარიძე,**
გაზეთ „ლენინელის" განყოფილების გამგე.

**ყურადღება დიდმნიშვნელოვან მშენებლობას!**

# განა ამას უნდა ვურიგდებოდეთ?!

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სასოფლო-მშენებლობის სამინისტროსა და დამზადების სამინისტროს კოლეგიებთან ერთად განიხილა ქალაქ ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარების ღონისძიებათა საკითხი.

აღინიშნა, რომ დღე-ღამეში 560 ტონა სიმძლავრის კომბინირებული საკვების საწარმოს და 105 ათასი ტონა ტევადობის ელევატორს, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 9,59 მილიონი მანეთია (აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 7,43 მილიონი მანეთი) „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ". რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად აშენებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტი, მაგრამ მშენებლობა მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

კაპიტალური დაბანდების 1977 წლის გეგმა სულ შესრულდა 30 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 32 პროცენტით. მკვეთრი ჩამორჩენაა საწარმოო კორპუსების მშენებლობაში, სადაც წლიური გეგმა მხოლოდ ოთხი პროცენტით შესრულდა. კიდევ უფრო უარესადაა რკინიგზის ჩიხის მშენებლობის მდგომარეობა.

სხდომაზე აღინიშნა მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი — მოყვანილი იყო იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ობიექტს მეტად არადამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფენ საჭირო მასალებით, სამშენებლო მექანიზმებით, ავტოტრანსპორტით „საქსოფლმშენინდუსტრიის" ტრესტმა არსებითად ჩაშალა რკინა-ბეტონის ნაკეთობათა მიწოდება. ობიექტი დღემდე არ არის მთლიანად დაკომპლექტებული მუშახელით.

მიუხედავად იმისა, რომ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტის მშენებლობაზე ასეთი საგანგაშო ვითარება შეიქმნა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და დამზადების სამინისტროს შესაბამის ქვეგანაყოფებს, აგრეთვე ოჩამჩირის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს ჯეროვანი კონტროლი არ გაუწევიათ და ოპერატიულად არ გადაუწყვეტიათ წამოჭრილი საკითხები.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და დამზადების სამინისტროს კოლეგიათა ერთობლივ დადგენილებაში რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 და „საქსოფლმშენინდუსტრიის" ტრესტების მუშაობა ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლობაზე უაღრესად არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული. აღინიშნა, რომ № 7 ტრესტის მმართველს გ. ე. ჭითავას ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ობიექტზე გეგმებისა და დამატებითი დავალებების შესრულებისათვის. გეგმების შესრულებაში ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზნით განისაზღვრა 1978 წლის გეგმის დამატებითი დავალება 500 ათასი მანეთის ოდენობით. ამასთან დაკავშირებით № 7 ტრესტს წინადადება მიეცა რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „ორგტექსოფლმშენის" ტრესტის მონაწილეობით 1 მარტამდე შეადგინოს სამუშაოთა გრაფიკი და მიმდინარე წელს აითვისოს 2 მილიონი მანეთი.

დადგენილებაში განსაზღვრულია საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, „კურორტმშენის" ტრესტის, აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების, რესპუბლიკური გაერთიანების „აფხაზეთსოფლტექნიკის" და სხვა რესპუბლიკურ ორგანიზაციათა და უწყებათა ქვეგანაყოფების ამოცანები.

დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტის მშენებლობაზე კვალიფიციური მუშახელის შენარჩუნების მიზნით დასახულია საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ღონისძიებები.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს წინაშე აღძრულია საკითხი, რომ განიხილოს და გადაწყვიტოს ოჩამჩირის მშენებარე კომბინირებული საკვების ქარხნის ლოკალური კანალიზაციის დაპროექტების, აგრეთვე მდინარე აძიკვის ნაპირგამაგრების საკითხი.

შეიქმნა ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელი შტაბი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბ. ვ. ადლეიბას მეთაურობით.

შტაბს წინადადება მიეცა სისტემატურად გააკონტროლოს მშენებლობის მიმდინარეობა და სამუშაოთა წარმოებისა და ორგანიზაციის დამტკიცებული გრაფიკის შესრულების შესახებ ინფორმაცია პერიოდულად მოახსენოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ტ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე დ. ი. სიხარულიძე, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოადგილე ნ. ნ. ჩიბალაშვილი.

სხდომის შედეგები შეაჯამა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. საყვარელიძემ (საქინფორმი).

# რევოლუციონერის დიდი ღვაწლი



**ნ. ფანცხავას დაბადების 90-ე წლისთავის გამო**

**დიდი** ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს დღეებში საბჭოთა ხალხმა განსაკუთრებული პატივისცემითა და მადლიერებით გაიხსენა ყველა, ვინც რევოლუციის გამარჯვებასა და ახალი საბჭოური წყობის დამკვიდრებას მიუძღვნა მთელი ცხოვრება.

ქართველ ლენინელ-რევოლუციონერთა ამ გამოჩენილ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ნიკოლოზ ფანცხავა.

ნიკოლოზ (ალიკო) ევსევის ძე ფანცხავა დაიბადა ქ. ქუთაისში, პედაგოგის ოჯახში. იგი დედით ადრე დაობლდა, იზრდებოდა სახელოვანი ბიძების — ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების რომანოზ და იაკობ ფანცხავების ოჯახურ გარემოცვაში და კარგი განათლებაც მიიღო; 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და იმავე წელს სექტემბრიდან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. (მოგვიანებით კი დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

ნ. ფანცხავა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს, 1912 წლიდან, არალეგალურ წრეში ჩაება და გატაცებით დაეწაფა მარქსისტულ ლიტერატურას, მოსკოვში კი დაუკავშირდა სტუდენტთა ბოლშევიკურ იატაკქვეშა ორგანიზაციებს და აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლებში, ბეჭდავდა სტატიებს პრესაში, მოხსენებებსა და რეფერატებს კითხულობდა კრებებზე. იგი კავკასიის სტუდენტთა სათვისტომოს აქტიური წევრი იყო და თაოსნობდა სტუდენტთა არალეგალურ შეკრებებს. ნ. ფანცხავა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მონაწილეა. 1917 წლის მარტში იგი ბოლშევიკური პარტიის წევრი გახდა, დიდი ენერგიით გააჩაღა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მოსკოვის მშრომელებში, ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას ომის, ზავისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აქტიურ საკითხებზე.

**1917** წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში ნ. ფანცხავა იარაღით ხელში იბრძოდა მოსკოვის პროლეტარიატის მხარდამხარ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ამ ისტორიულ ბრძოლებში მთელი ძალებით ჩაბმული იყვნენ მოსკოვის მოწინავე ქართველი სტუდენტები. მათ ბრძოლისათვის მოუწოდებდნენ, რაზმავდნენ და ხელმძღვანელობდნენ უკვე ცნობილი ახალგაზრდა რევოლუციონერები, მიხეილ კახიანი, ნიკოლოზ ფანცხავა, იაკობ ვარძიელი, ს. მამულია და სხვები.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1917-1919 წლებში, ნ. ფანცხავა მოსკოვში წითელი არმიის მომარაგების უფროსის (ლ. შ. კრასინის) მოადგილედ მუშაობს, 1920 წლიდან კი იგი საქართველოში იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ფანცხავას მეტად პასუხსაგები თანამდებობანი ეკავა: მაგალითად, 1921-1922 წლებში მუშაობდა საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, 1923-1925 წლებში — საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად და სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის" თავმჯდომარედ, 1926-1929 წლებში — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, 1932-1933 წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, 1933-1934 წლებში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (შემდგომში შეთავსებით ამ თანამდებობასთან ერთად ეკავა საშინაო და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის პოსტი). ნიკოლოზ ფანცხავა წლების განმავლობაში არჩეული იყო პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრად. ნ. ფანცხავა საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე და მშენებელი იყო.

ქვეყნის ერთგულმა შვილმა ნიკოლოზ ფანცხავამ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დიდი ოქტომბრის გამარჯვებას და ახალი ცხოვრების განმტკიცების დიად საქმეებს მოახმარა.

**ა. იოსელიანი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

# აქამაღლოთ ლექციური პროპაგანდის ქმედითობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმმა შეაჯამა საიუბილეო წლის შედეგები, დასახა მომავალი მოქმედების პროგრამა. უმნიშვნელოვანესი ამოცანები წაუყენა მან იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს.

საფუძვლიანი საუბარი იმის შესახებ, რაც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წელს, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის დაძაბული ბრძოლის წელს ვაკეთდა, აგრეთვე იმაზე, თუ რა ამოცანები დგას საზოგადოება „ცოდნის" მუშაკთა წინაშე ახალ 1978 წელს, გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" საოლქო და რაიონული ორგანიზაციების გამგეობათა პასუხისმგებელი მდივნების თათბირ-სემინარზე.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. გოგოხიამ. მოხსენება „1977 წლის მუშაობის შედეგები და საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-8 პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად" გააკეთა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ტატიშვილმა.

თათბირ-სემინარზე მიიღეს სოციალისტური ვალდებულებანი.

## ქართველ მეცნიერთა ჯილდო

**სსრ** კავშირის საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ შეაჯამა სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებისათვის კონკურსის შედეგები. სხვა სწავლულებთან ერთად პირველი ხარისხის დიპლომები მიენიჭათ ქართველ მეცნიერებს, რომელთა შორის არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორის მოადგილე ვ. ნ. მერკვილაძე, რომელიც დაჯილდოვდა ბროშურისათვის „თანამედროვე ეტაპზე პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრის გამგე ლ. ე. გორგილაძე — ბროშურისათვის „საზოგადოებრივი მეცნიერება განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი გ. ს. ფირცხალავა — ბროშურისათვის „სკკპ XXV ყრილობა — ახალი ისტორიული ეტაპი საბჭოთა კავშირის განვითარებაში კომუნიზმის გზაზე".

ბროშურები გამოსცა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ. (საქინფორმი).

## მშობელთა უნივერსიტეტი მოქმედებს

**ლაგოდეხი.** (საკ. კორ.). იმ დიდ მოთხოვნათა კვალობაზე, რომლებსაც პარტია და მთავრობა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში უყენებენ სკოლას, ოჯახს, საზოგადოებას, იზრდება მასწავლებელთა და მშობელთა დიდაქტიკური დახელოვნების ამოცანები.

სწორედ ამ მიზნით, ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასთან შეიქმნა მშობელთა უნივერსიტეტი, რომელშიც 115 კაცი გაერთიანდა. უნივერსიტეტის რექტორად სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტის გამგე ტ. ბეგიაშვილი დაინიშნა.

პირველ მეცადინეობაზე მსმენელებმა მოისმინეს ლექციები — „პედაგოგიური ცოდნა — მშობლებს" და „ბავშვთა აღზრდა მშობლის მოქალაქეობრივი მოვალეობაა".

აქვე მოისმინეს უნივერსიტეტის სამუშაო გეგმა, ლექციების თემატიკა. გათვალისწინებულია კვალიფიციური ლექტორების მოწვევა პედაგოგიური ინსტიტუტიდან, საზოგადოება „ცოდნიდან" და სხვ. მოეწყობა აგრეთვე თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, საინტერესო შეხვედრები სახელოვან პედაგოგებთან, მწერლებთან.

# საქდესი იტყობინება

# მსოფლიოს ამბები

### ვითარება აფრიკის რქის რაიონში

## სომალის შენიღბული ზრახვები

**ნიუ-იორკი,** 24 თებერვალი. (საქდესი). ეთიოპიელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოიგერიოს აგრესია და დაიცვას რევოლუციის მონაპოვრები,ამასთან მტკიცედ იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წესდებათა პრინციპებს, განაცხადა აქ ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ეთიოპიის მუდმივმა წარმომადგენელმა მოჰამედ ჰამიდ იბრაჰიმმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ეთიოპია მოითხოვს სომალთან კონფლიქტის მოწესრიგებას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და საზღვრების ურღვეობის საფუძველზე, ასეთი მოლაპარაკების აუცილებელი პირობაა სომალის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა ეთიოპიის ტერიტორიიდან.

ეთიოპიის წარმომადგენელმა გულისწყრომით დაგმო იმპერიალისტთა ჩარევა სომალ-ეთიოპიის კონფლიქტში.

მოჰამედ ჰამიდ იბრაჰიმმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის, კუბისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ აგრესიის მოგერიებაში ეთიოპიელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის უანგარო მხარდაჭერას, და ხაზი გაუსვა, რომ ამრიგად ისინი გამოდიან მშვიდობის საქმის, მთელი აფრიკის ხალხების კანონიერი უფლებებისა და მისწრაფებების დამცველებად.

● **გულისწყრომით გმობენ იმპერიალისტთა ჩარევას** ● **მოგადიშოს დამპყრობლური ზრახვები** ● **იარაღს აწვდიან აგრესორს**

**ადის-აბება,** 24 თებერვალი. (საქდესი). ეთიოპიის ინფორმაციისა და ეროვნული ორიენტაციის სამინისტროს წარმომადგენელმა მკვეთრად დაგმო სომალის ხელმძღვანელთა პრეტენზიები თვითნებურად ჩაერიონ ეთიოპიის საშინაო საქმეებში და გადასინჯონ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები. სომალის პრეზიდენტის უკანასკნელი განცხადება, რომ არ ცნობს ეთიოპიასთან ამჟამად არსებულ საზღვარს, ხაზი გაუსვა მან, უხეშად არღვევს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის შესაბამის გადაწყვეტილებებს, მოწმობს მეზობელი ხალხების მიმართ მოგადიშოს დამპყრობლურ ზრახვებს. იგი გვიჩვენებს, რომ სომალის ხელმძღვანელობის მოწოდებანი მდგომარეობის მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის საბაბია, რომლითაც შენიღბულია მათი ნამდვილი ზრახვები.

**პარიზი,** 24 თებერვალი. (საქდესი). როგორც გაზეთი „მონდი" იუწყება, სომალში მიიღეს 300 იტალიური ჯავშნოსანი მანქანა და 600 ფრანგული საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა. ამ და სხვა მიწოდებებს, წერს „მონდი" სანქცია მისცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დასავლეთის ხუთი სახელმწიფოს თათბირზე, რომელიც მიმდინარე წლის 22 იანვარს გაიმართა ვაშინგტონში.

**თეირანი,** 24 თებერვალი. (საქდესი). ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ცნობები სომალისათვის ირანული იარაღის მიწოდების შესახებ და „ყალბი" უწოდა მათ.

### ამერიკა-დანიის მოლაპარაკება

## ურთიერთობის გამწვავების ფონზე

**ვაშინგტონი,** 24 თებერვალი (საქდესი). დამთავრდა დანიის პრემიერ-მინისტრის ა. იორგენსენის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა პრეზიდენტ ჯ. კარტერთან, სახელმწიფო მდივანთან ს. ვენსთან, თავდაცვის მინისტრთან გ. ბრაუნთან და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან.

როგორც თეთრი სახლის განცხადებაში იყო აღნიშნული, განიხილეს ევროპის გაერთიანების ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ფართო წრის ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო პრობლემები. მხარეებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ნატოს ბლოკის სამხედრო ძლიერების შემდგომი გადიდების პროგრამას. ამასთან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „კმაყოფილება" გამოთქვა ამ პროგრამის განხორციელებაში დანიის აქტიური როლის გამო.

ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ ა. იორგენსენის ვიზიტი მიმდინარეობდა ევროპის „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან სავალუტო-ფინანსურ და სავაჭრო დარგებში ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გამწვავების ფონზე.

გამოვიდა რა პრესკონფერენციაზე ვაშინგტონში, ა. იორგენსენმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აშკარად არ სურს აქტიური ღონისძიებანი იხმაროს დოლარის გასამაგრებლად.

## აძლიერებენ ზეწოლას

ჰააგა, 24 თებერვალი. (საქდესი). ნატოს ხელმძღვანელი წრეები აძლიერებენ ზეწოლას დასავლეთი ევროპის ქვეყნების მთავრობებისადმი, რათა უსწრაფესად დაითანხმონ ისინი ევროპაში ნეიტრონული ბომბის განლაგებაზე. როგორც ჰოლანდიის გაზეთი „პაროოლი" წერს, ნატოს გარკვეული წრეები ცდილობენ ეს გადაწყვეტილება მიიღონ ვაშინგტონში ამ ორგანიზაციის ჯერ კიდევ მაისის სესიამდე. ასეთი სიჩქარე, როგორც გაზეთი აღნიშნავს, გამოწვეულია შიშით, რომ საკითხი გადაექცევა „ნეიტრონული ბომბის შესახებ უმაღლესი დონის კონფერენციად, რომელზეც შეიძლება თვით ისინი მოკავშირეთა შორის სერიოზულმა უთანხმოებამ". ნატოს წრეებში შიშობენ, აღნიშნავს გაზეთი, რომ შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბელგია, და ალბათ ინგლისი მოითხოვენ ნეიტრონული ბომბის წარმოებასა და ევროპაში განლაგებას, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნები ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

### ნიკარაგუა

## დიქტატურის წინააღმდეგ

**სან-ხოსე,** 24 თებერვალი. (საქდესი). ვერც მკაცრმა რეპრესიებმა, ვერც ამერიკელი „ინსტრუქტორების" მონაწილეობამ სადამსჯელო ოპერაციებში ვერ უშველა ნიკარაგუის ტირანს სომოსას ჩაეხშო დიქტატურის წინააღმდეგ ხალხის გამოსვლები, რომლებმაც ახალი ძალით იფეთქა ამ დღეებში, როცა ნიკარაგუელები პატივს მიაგებენ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გმირს აუგუსტო სესარა სანდინოს. „თავისუფალ ადამიანთა გენერალი", როგორც მას ხალხი უწოდებს, სანდინო რვა წლის მანძილზე სათავეში ედგა პატრიოტთა ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ და მუხანათურად მოკლეს 1934 წლის თებერვალში.

მშრომელთა და სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციები იმართება მანაგუაში, ლეონში, სხვა ადგილებში. დედაქალაქის მახლობლად სოფელ მონიმბოში ინდიელმა გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს დამსჯელებს. ქალაქ მასაიაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა მოსახლეობის გააფთრებული შეტაკებანი ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებთან.

## მოკლედ უცხოეთიდან

**დოლარის გადასარჩენად**

● **ბონი.** 65 მილიონი დოლარი შეისყიდა მარტო ერთ დღეს 22 თებერვალს დასავლეთ გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა, რათა არ დაეშვა ამერიკის ფულადი ერთეულის შემდგომი გაუფასურება. სულ ამ კვირის პირველი სამი დღის განმავლობაში ბანკმა ბირჟაზე შეიძინა 155 მილიონზე მეტი დოლარი.

**ვენეციელთა პროტესტი**

● **რომი.** ვენეციის მშრომელებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ნეოფაშისტთა ახალი სისხლისმღვრელი პროვოკაციის გამო, რომლებმაც ხამშაბათს ბომბი აფეთქეს ვენეციის გაზეთ „გაზეტინოს" რედაქციის შენობაში. მოკლულია ერთი კაცი. ქალაქის ათასობით მუშა და მოსამსახურე შეიკრიბა მიტინგზე და მოითხოვა ბოლო მოეღოს შავხალათიანთა განუწყვეტელ პროვოკაციებს.

**ნება დართეს**

● **ჰავანა.** დომინგოს კომუნისტურ პარტიასა და დომინგოს რესპუბლიკის ორ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას ნება დართეს დაასახელონ თავიანთი ოფიციალური კანდიდატები საყოველთაო არჩევნებში, რომელიც დანიშნულია მიმდინარე წლის მაისში. ამას იუწყება პრენსა ლატინას საავენტო სანტო-დომინგოდან.

დომინგოს კომუნისტებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინეს 127 ათასი მოქალაქის ხელმოწერის სია, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მათ. ეს რიცხვი საგრძნობლად აღემატება მინიმუმს, რომელიც საჭიროა პოლიტიკური ორგანიზაციების რეგისტრაციისა და მათ მიერ არჩევნებში თავიანთი კანდიდატების დასახელებისათვის.

## ოთხმხრივი მოლაპარაკება

**ტრიპოლი,** 24 თებერვალი. (საქდესი). ლიბიის ქალაქ სებჰაში გაიხსნა ლიბიის, ჩადის, ნიგერისა და სუდანის ხელმძღვანელთა ოთხმხრივი მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ლიბიის საყოველთაო სახალხო კონგრესის გენერალური მდივანი მ. კადაფი, ჩადის რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ფ. მალუმი, ნიგერის რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ს. კუნჩე და სუდანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი მუჰამედ იბრაჰიმი.

მოლაპარაკების დროს ოთხი ქვეყნის ხელმძღვანელები იხილავენ ჩადისა და ლიბიის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხებს, აგრეთვე, მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საჰარის რეგიონის ოთხი სახელმწიფოს თანამშრომლობის განმტკიცებასა და აფრიკაში იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ამ სახელმწიფოების მეცადინეობის კონსოლიდაციასთან.

მოლაპარაკების დაწყების წინ პრესის წარმომადგენლებისათვის მიცემულ განცხადებაში ლიბიის საყოველთაო-სახალხო კონგრესის გენერალურმა მდივანმა მ. კადაფიმ მკვეთრად დაგმო დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები შუღლი და მტრობა ჩამოეგდო აფრიკის ქვეყნების ხალხთა შორის. მან გაილაშქრა აფრიკის ხალხთა საქმეებში დასავლეთის სახელმწიფოთა ჩარევის წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა, რომ აფრიკის სახელმწიფოებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაჭრან აფრიკის ყველა საშინაო პრობლემა.

## აქეზებენ ნაცისტებს

**ნიუ-იორკი,** 24 თებერვალი. (საქდესი). ფედერალურმა საოლქო სასამართლომ უკანასკნელი დაბრკოლებები გააუქმა ჩიკაგოში ნაცისტთა თავყრილობის მოწყობის გზაზე, როცა დაადგინა, რომ ადგილობრივ ხელისუფალთა ცდები არ დაუშვან ნაცისტთა დემონსტრაციების მოწყობა „ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას". თავყრილობის მოწყობა ქალაქის ჩრდილოეთის რაიონ სკოკიში, სადაც ძირითადად ებრაელები ცხოვრობენ, რომლებიც თავის დროზე იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ფაშისტთა მიერ ოკუპირებული ევროპა.

უფრო ადრე ამ დემონსტრაციის ნებართვა გასცა ილინოისის შტატის უმაღლესმა სასამართლომ, რომელმაც უარყო სკოკის მცხოვრებთა ყველა საჩივარი, რომ დაგეგმილი დემონსტრაცია არა მარტო შეურაცხყოფს მათს ღირსებას, არამედ საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს. უფრო მეტიც, ნებადართულია ეს თავყრილობა მოეწყოს სრული ნაცისტური ფორმით. სვასტიკიანი სამკლაურებითა და ალმებით. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ცინიკურად ნათქვამია, რომ „სვასტიკის ტარება ხალხისადმი სიმბოლური მიმართვაა, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გაცნობის მიზნით".

საგულისხმოა, რომ ამერიკის ხელისუფალნი, რომლებიც სასტიკად დევნიან მოქალაქეობრივი უფლებებისა და რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს, თვალს ხუჭავენ ნაცისტების, კუკლუქსკლანელებისა და სხვა კაცთმოძულე ორგანიზაციების საქმიანობაზე.

### ესეც შენი „თავისუფალი სამყარო"!






## შეთითხნილი ბრალდებით

1971 წელს ზანგ აქტივისტთა ჯგუფს მღვდელ ბენჯამინ ჩევისის ხელმძღვანელობით, რომელიც სასწავლებლებში რასობრივი სეგრეგაციის საწინააღმდეგო მიტინგებს აწყობდა, თავს დაესხა რასისტთა ბანდა. ზანგებმა თავი ეკლესიას შეაფარეს. საქმეში პოლიცია ჩაერია. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ რასისტი არამზადები დაეპატიმრებინათ, წესრიგის დამცველებმა ზანგები დააპატიმრეს. შემდეგ შეთითხნილი ბრალდებით მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ზანგთა მოძრაობის ათი აქტივისტი გაასამართლეს და საბოლოო ჯამში 282 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, ბენ ჩევისს როგორც „წამქეზებელ მეთაურს" — 34 წლის პატიმრობა.



**სურათებზე:** ნიუ-იორკში გამართული ერთ-ერთი დემონსტრაცია „უილმინგტონელი ათეულის" დასაცავად (ზემოთ მარცხნივ); (მარჯვნივ) ბენ ჩევისი, რომელსაც ხელში უჭირავს ვინმე ა. ჰილის — ბრალდების მთავარი მოწმის წერილი, სადაც მან აღიარა, რომ ხელისუფლების უხვი დაპირებებით სულწასულმა ზანგ აქტივისტებს ცილი დასწამა; (ქვემოთ) ვაშინგტონში მოწყობილ ფოტოვიტრინასთან, სადაც მოთხრობილია ბ. ჩევისისა და მისი ამხანაგების ამბავი.

ადნ–საქდესის ფოტო.

### საქდესის კომენტარი

## საშიში გარიგება

**ამ დღეებში სოლსბერიში რასისტული რეჟიმის ლიდერმა ი. სმიტმა და სამმა ეგრეთ წოდებულმა „ზომიერმა" აფრიკელმა მოღვაწემ დადეს შეთანხმება როდეზიაში „საშინაო მოწესრიგების" შესახებ, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიოს პრესა. რა არის ამ შეთანხმების არსი?**

მისი რვა პუნქტი ითვალისწინებს კონსტიტუციურ გარანტიებს, რომ თეთრკანიან მოსახლეობას სულ ცოტა 10 წლის განმავლობაში დარჩება გაბატონებული პოზიციები ეკონომიკასა და ქვეყნის მართვაში. მაგალითად, შეთანხმება თეთრკანიანი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს „საკუთრებისა და მიწების დაცვას ნაციონალიზაციისა და კონფისკაციისაგან", აგრეთვე ახლანდელი სახელმწიფო აპარატის პოლიციისა და შეიარაღებული ძალების შენარჩუნებას, სადაც ძირითადი პოზიციები თეთრკანიანებს უკავიათ.

შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე ისეთი პარლამენტის შექმნას, სადაც 100 ადგილიდან 28 დაეთმობათ თეთრკანიანი უმცირესობის წარმომადგენლებს. ამისათვის კი, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ რაიმე კანონის მიღებას ან კონსტიტუციის შეცვლას, 23 მანდატიც საკმარისია. უფრო მეტიც, როგორც ინგლისური „დეილი ტელეგრაფი" წერდა, „28 ადგილი პარლამენტში და ნაციონალისტურ დაჯგუფებებთან ბლოკირების შესაძლებლობა სმიტს საშუალებას მისცემს კვლავ შეინარჩუნოს კონტროლი ქვეყნისადმი". მართლაც, ისეთ პირობებში, როცა კონსტიტუცია თეთრკანიანების ეკონომიკური ბატონობის გარანტიას იძლევა, მათ არ გაუჭირდებათ პარლამენტში თავის მხარეზე გადაიბირონ ზოგიერთი მექრთამე აფრიკელი მოღვაწე (ისეთები, ვინც სმიტთან ამ გარიგებაში მონაწილეობდა), და მაშინ ერთი მუჭა, სულ 250 ათასი რასისტი მიიღებს იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ განუსაზღვრელი დროით გაახანგრძლივონ თავიანთი ბატონობა 6,5 მილიონზე მეტ მკვიდრ აფრიკელზე.

ზამბიის გაზეთი „ზამბია დეილი მეილი" ტყუილად როდი წერდა, რომ „ვიდრე სმიტი ცოცხალია, როდეზიაში არავითარი უმრავლესობის მმართველობა არ დამყარდება... სოლსბერის გარიგება სხვა არაფერია, თუ არა მორიგი ბანტუსტანი".

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების საძრახისი როლი, რომლებიც ისინი ასრულებენ როდეზიაში აფრიკული უმრავლესობისათვის ხელისუფლების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, სოლსბერიში ორი თვის მანძილზე მიმდინარე მოლაპარაკების პარალელურად ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ოუენი და ამერიკის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ე. იანგი მალტაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ზიმბაბვეს ხალხის პატრიოტული ფრონტის ლიდერებთან. ისინი პირფერობდნენ, როცა აკრიტიკებდნენ სმიტის რეჟიმს, რადგან სინამდვილეში შეგნებულად ცდილობდნენ ჩაეშალათ მოლაპარაკება მალტაში და ამით შესაძლებლობა მიეცათ როდეზიელი რასისტების ლიდერისათვის სოლსბერიში გარიგებისათვის მიეღწია.

ამასთან დასავლეთშიც კი გაისმის გაფრთხილებების ხმები, რომ შეთანხმებას, რომელშიც მონაწილეობას არ მიიღებენ ზიმბაბვეს ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები, საშიში შედეგები მოჰყვება. მაგალითად, ინგლისური „ობსერვერი" აღნიშნავს, მან „სამხრეთ აფრიკა შეიძლება სისხლიან მორევში ჩაითრიოს".

# ლარნაკში მომხდარი ინციდენტის გამო

**კვიპროსზე,** ნიქოზიის „ჰილტონის" სასტუმროში 18 თებერვალს ტყვია დაახალეს და იქვე მოკლეს ეგვიპტელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იუსეფ ეს-სიბაი, რომელიც მრავალ წელს მეთაურობდა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციას როგორც მისი გენერალური მდივანი. 19 თებერვალს იმავე კვიპროსზე, ლარნაკის საერთაშორისო აეროპორტის მიდამოებში დახოცეს კიდევ 15 ეგვიპტელი, „კომანდოსის" ჯარისკაცები. მეორე ეპიზოდი სრულიადაც არ იყო პირველის გარდაუვალი შედეგი. თუ იუსეფ ეს-სიბაი დამნაშავე ტერორისტებმა მოკლეს, ეგვიპტელი ჯარისკაცები იმსხვერპლა მათი საკუთარი მთავრობის საქციელმა, რომელმაც პასუხისმგებლობის ჯეროვანი გრძნობა ვერ გამოიჩინა და ფრიად დაუდევრად გათელა საერთაშორისო სამართლის ნორმები. ისე გამოვიდა, რომ ეგვიპტის ხელისუფლებმა თავიანთი მოქმედებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს-სიბაის საფლავზე მისი თხუთმეტი მკვდარი თანამემამულის სამგლოვიარო გვირგვინით შემკეს.

შეგახსენებთ მოვლენათა თანამიმდევრობას. ორმა დამნაშავე ტერორისტმა, რომლებმაც ეს-სიბაი მოკლეს და თან გაიყოლეს მძევლები, ძირითადად აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის სესიის მონაწილენი, კვიპროსის ხელისუფალთ თვითმფრინავი მოსთხოვეს, რათა საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ. მათ თან წაიყვანეს მძევლების ნაწილი — ზემოხსენებულ ორგანიზაციაში არაბთა წარმომადგენლები, და თვითმფრინავით დაუწყეს ძებნა ქვეყანას, რომელიც მათ შეიფარებდა. მაგრამ ასეთი ქვეყანა ვერ იპოვეს, რადგან ტერორიზმს, შეიძლება ითქვას, სულ უფრო ერთსულოვნად გმობენ მთელ მსოფლიოში. ისინი იძულებული გახდნენ ჯიბუტიდან კვლავ ლარნაკის აეროპორტში დაბრუნებულიყვნენ.

ამასობაში პრეზიდენტი კიპრიანუ დაუკავშირდა რამდენიმე არაბულ და აფრიკულ სახელმწიფოს მეთაურებს, მათ შორის პრეზიდენტ სადათს, და გააფრთხილა, რომ კვიპროსი კისრულობს მძევლების განთავისუფლებას და ტერორისტთა დაკავებას. ყველა ლიდერმა, მათ შორის სადათმაც მოიწონა ეს ტაქტიკა. როცა თვითმფრინავი ლარნაკში დაბრუნდა, კიპრიანუ აეროპორტში მივიდა და სათავეში ჩაუდგა მოლაპარაკებას ტერორისტებთან.

დამნაშავენი უკვე დაიყოლიეს, რომ დანებებულიყვნენ, და ყველაფერი კარგად უნდა დამთავრებულიყო, როცა აეროპორტის ზონაში მოულოდნელად გამოჩნდა ეგვიპტის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი. მან დაჯდომის ნებართვა ითხოვა იმ საბაბით, რომ თვითმფრინავში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის კულტურისა და ინფორმაციის მინისტრი ზისო. ეს შეუწყნარებელი სიცრუე იყო, რომლითაც მოამზადეს კვიპროსის სუვერენიტეტის უხეში დარღვევა. როგორც კი დაჯდა ეგვიპტის თვითმფრინავი, იქიდან ორმოცდაათზე მეტი მედესანტე გამოცვივდა და ტყვია დაუშინა ირგვლივ ყველაფერს (ცერძოდ, საკონტროლო კოშკსაც, სადაც კვიპროსის პრეზიდენტი იმყოფებოდა). მედესანტეებმა ტერორისტების თვითმფრინავს მიაშურეს. ასეთ ვითარებაში კვიპროსის ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფებმა ტყვიითვე გასცეს პასუხი მოულოდნელ და დაუპატიჟებელ „მხსნელებს". შედეგი ცნობილია: 15 დახოცილი ეგვიპტელის გვამი. 19 ეგვიპტელი და 7 კვიპროსელი დაიჭრა. ეგვიპტის თვითმფრინავი ააფეთქეს და მოსპეს. ტყვედ დანებებული ეგვიპტელი „კომანდოსები" მეორე დღეს კაიროში გაგზავნეს. საღ-სალამათი მძევლები გაათავისუფლეს. ტერორისტები დააპატიმრეს და კვიპროსის სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

ნიქოზიამ მკაცრად დაგმო ეგვიპტის აქცია ლარნაკის აეროპორტში. პრეზიდენტმა კიპრიანუმ განაცხადა, რომ მთელი პასუხისმგებლობა ეგვიპტის მთავრობას ეკისრება, რადგან ეს შეიარაღებული აქცია განახორციელა მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გააფრთხილეს სუვერენული კვიპროსის ტერიტორიაზე რაიმე თვითნებური მოქმედების შეუწყნარებლობის შესახებ. ფაქტებით დადასტურებული ეს ვერსია პრაქტიკულად ყველამ ცნო. უფრო მეტიც, კერძო საუბარში, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის" კაიროელი კორესპონდენტი კ. რენი წერს, „ეგვიპტის ოფიციალურმა პირებმა აღიარეს, რომ მათს მთავრობას კონკრეტულად არ ეცნობებია კვიპროსისათვის ეგვიპტის სამხედრო თვითმფრინავში „კომანდოსის" ჯგუფი რომ იყო".

ეჭვს აღარ იწვევს, თუ ვისი ბრალია ამდენი მსხვერპლი. ლონდონის „ტაიმსი" წერს: „მძევლების განთავისუფლების ოპერაცია სხვის ტერიტორიაზე და ამ ქვეყნის მთავრობის თანხმობის გარეშე „საომარი აქტია" არა მარტო ტერორისტების, არამედ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგაც, რომლის სუვერენიტეტიც ამ დროს ილახება".

ამასობაში კაირომ, რომელსაც სურს ეგვიპტელ ხალხს დაუმალოს თავისი დანაშაული, ავანტიურისათვის დიპლომატიურ სკანდალს მიმართავს. მიუხედავად იმისა, რომ ნიქოზიამ კეთილგონიერებისათვის მოუწოდა, სადათმა ურთიერთობა გაწყვიტა კვიპროსის რესპუბლიკასთან (გავიხსენოთ, ისევე როგორც წინათ რამდენიმე არაბულ სახელმწიფოსთან, რომლებმაც დაგმეს მისი კაპიტულანტური პოლიტიკა.) თუმცა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ და პალესტინის სხვა ორგანიზაციებმა დაგმეს ეს-სიბაის მკვლელობის ტერორისტული აქტი და გამოაცხადეს, რომ არავითარი წილი არ უდევთ ამ საქმეში, კაიროში კიდევ ერთი ანტიპალესტინური კამპანია გააჩაღეს, რომლის მიზანია გაამართლონ ისრაელთან სეპარატული გარიგებისადმი მისწრაფება.

უკანასკნელი წლების საერთაშორისო ცხოვრება, სამწუხაროდ, სავსეა პოლიტიკური ტერორიზმის აქტებით და მძევლებთან ერთად თვითმფრინავების მიტაცების შემთხვევებით. პრაქტიკამ უკვე მოგვცა მძევლების განთავისუფლების ნაირ-ნაირი ვარიანტებიც. არის სხვადასხვა მთავრობის შეთანხმებული მოქმედების კარგი გამოცდილების მაგალითებიც, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებებით. არის საწინააღმდეგო მაგალითებიც, როცა ინდივიდუალურ ან ჯგუფურ ბანდიტიზმს სახელმწიფო ბანდიტიზმით უპასუხებენ და სხვის ქვეყანაში იჭრებიან, როგორც სხვის ბინაში. ლარნაკის აეროპორტში მომხდარ ეპიზოდზე რომ მსჯელობენ, ჟურნალისტები იხსენებენ უგანდის ენტებეს აეროპორტში ისრაელი „კომანდოსების" 1976 წლის ფლიბის რეიდს, რომელმაც თავის დროზე დიდი აურზაური გამოიწვია. მაშინ ეგვიპტემ დაგმო ეს რეიდი, როგორც აგრესიის აქტი, ახლა კი თვითონ სწორედ ისრაელი ვარიანტი გამოიყენა. რას იზამ, ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. კაირო გაიტაცა სამხედრო ჯან-ღონის დემონსტრაციის იდეამ, მაგრამ ამ იმპროვიზაციის დროს სირცხვილი ჭამა, თანაც სისხლი დაითხია. ერთი მოტივიც შეინიშნება. ენტებეს აეროპორტში რეიდის ორგანიზატორები და მონაწილეები დასავლეთის პროპაგანდამ ცაში აიყვანა, წიგნების, კინო და ტელეფილმების გმირებად გახადა. კაიროში, როგორც ჩანს, შეშურდათ ეს საეჭვო დაფნის გვირგვინი. განა უკანასკნელი ხანების მოვლენები არ ადასტურებს, რომ ზოგზოგებს იქ ძალზე მოეწონათ გააკვირვონ მსოფლიო თავბრუდამხვევი სენსაციებით და პოლიტიკურ-თეატრალიზებული აქტებით?!

საერთაშორისო ტერორიზმი უმკაცრესად უნდა დავგმოთ და გაბედული წინააღმდეგობა გავუწიოთ. მის წინააღმდეგ ბრძოლა შეესაბამება ყველა ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ დროს არ უქმდება საერთაშორისო სამართალი და სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ზუსტად დაცვის საჭიროება. ლარნაკის აეროპორტში მომხდარი ინციდენტი გვიჩვენებს, რა სამწუხარო შედეგი შეიძლება მოჰყვეს დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმების დარღვევას.

**ს. კონდრაშოვი,**
„იზვესტიის" პოლიტიკური მიმომხილველი.

პოეტური სიტყვა სცენიდან

# შეხვედრა ლექსთან



კითხულობს პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი

[illegible]

ეს იგრძნობოდა პროფკავშირთა კულტურის სასახლეშიც, სადაც ამ რამდენიმე დღის წინათ გაისმოდა პოეტ ჯანსულ ჩარკვიანის სიტყვა. დარბაზი თითქმის სულ ახალგაზრდებით იყო სავსე. მათგან ნახევარზე მეტი პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავ-[illegible]

[illegible] მელოდია ისმოდა და მსახიობი თათია ხაინდრავა კითხულობს ჯ. ჩარკვიანის ლექსს „ბეთანიას". იგი სცენაზე იწვევს 62-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც პოეტის ახალ ლექსებს კითხულობენ. შემდეგ 34-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები გამოდიან.

[illegible] ნაწარმოებები შეასრულეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მე-4 კურსის სტუდენტმა ნ. ქათამაძემ და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. იაშვილმა.

შემდეგ ისევ პოეზია... რესპუბლიკის სახალხო არტისტი [illegible] მის სახელმწიფო თეატრის ახალი დადგმა „წეროები".

მაგრამ მთავარი მაინც თვით ჯანსულ ჩარკვიანის გამოსვლა იყო. მან ლექსების ახალი ციკლი წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას.

ვ. მარდალეიშვილი.

კრივი

# მიზანი — ბელგრადი

[illegible] ბელგრადში 11 მსოფლიო ჩემპიონატში დაიცავს საბჭოთა კრივის ღირსებას.

მართალია, 10 წლის წინათ თბილისში მოეწყო კრივში საკავშირო თასის გათამაშება, მაგრამ ისეთი დიდი რანგის შეჯიბრებას, როგორიც საკავშირო ჩემპიონატია, თბილისი 30 წელიწადს ელოდა.

გუშინ გაიმართა წინასწარი შეხვედრები, ასეთივე პროგრამით ასპარეზზე მოკრივეები 26-28 თებერვალს და 1 მარტს. 2 მარტს გაიმართება მერვედფინალური, 3 მარტს — მეოთხედფინალური, 4 მარტს — ნახევარფინალური, ხოლო 5 მარტს — ფინალური შეხვედრები. არის ერთი სიახლე: მოკრივეს, რომელიც მეოთხედფინალში გავა და იქ წააგებს შეხვედრას, „სანუგეშო ტურნირში" მონაწილეობის უფლება მიეცემა, ამგვარად, მას კიდევ ეძლევა იმის საშუალება, რომ განაგრძოს ბრძოლა საპრიზო ადგილისათვის.

გუშინდელი ორთაბრძოლებიდან შევეხებით ორ შეხვედრას (54 კგ წონითი კატეგორია). განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერევნელი დ. ტოროსიანისა და დონეცკელი ვ. ტკაჩენკოს ტექნიკურმა ბრძოლამ. თანდათან ერევნელის უპირატესობა გამოიკვეთა და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა. სსრ კავშირის ორგზის, ევროპის ორგზის ჩემპიონს და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელს, დონეცკელ ვ. ზასიპკოს მედგარი მეტოქეობა გაუწია კიეველმა ოსტატობის კანდიდატმა ს. ცირონიანმა. მიუხედავად იმისა, რომ კიეველმა ტიტულოვან მეტოქეს ტოლი არ დაუდო, გამარჯვება გამოცდილ ზასიპკოს მიენიჭა.

გ. ირინაული.

სპორტი

შაში ლიდერობს მაია მოსიძე

პოლტავაში მიმდინარეობს საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრება შაშში. აქ წარმატებით ასპარეზობს თბილისელი მოსწავლე მაია მოსიძე. 8 ტურის შემდეგ მან 7 ქულა დააგროვა და ტურნირის გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა.

ხელბურთი

სტარტი აიღო საკავშირომ

რიგასა და ლვოვში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის გუნდების წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი. თითოეულ ქალაქში შეიკრიბა 6-6 გუნდი, რიგის ტურის პირველი დღის მატჩების შედეგები ასეთია: „ცელტნიეკსი" (რიგა)-ცსკა 26:29, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე)-ასკ (კიევი) — 19:19, „კუნცევო" (მოსკოვი)-„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — 22:18.

თბილისის „ბურევესტნიკი" დანარჩენ ხუთ გუნდთან ერთად ასპარეზობს ლვოვში.

მოკლედ

სროლა. კოპენჰაგენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური შაშხანით სროლაში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ახალი მიღწევის მაჩვენებელია 1153 ქულა.

მძლეოსნობა. მოსკოვში ძმები ზნამენსკების სახელობის გადახურულ სტადიონზე დამთავრდა ფინალური შეჯიბრება მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასზე — გაზეთ „იზვესტიის" თასზე. რესპუბლიკებს შორის პირველობა მოიპოვა რუსეთის სფსრ-ს ნაკრებმა, ხოლო 250 ქალაქს შორის უძლიერესი იყო კიევის გუნდი. ამ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ უცხოელი სპორტსმენებიც.

პ. საპანაძე



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ [illegible] წლისა გარდაიცვალა თევზის მრეწველობის [illegible] მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1932 წლიდან პლატონ ვასილის ძე საპანაძე.

პ. საპანაძე დაიბადა 1906 წელს ქ. ფოთში, მუშის ოჯახში, შრომითი საქმიანობა დაიწყო 1923 წელს ფოთის სავაჭრო ნავსადგურის გემშემკეთებელ ქარხანაში ზეინკლად, ფოთის სავაჭრო ნავსადგურის, შემდეგ ბალტიის ზღვის სანაოსნოს შორეული ცურვის გემებზე მუშაობდა მექანიკოსად. 1937 წლიდან იგი ბალტიის სანაოსნოს უფროსის თანაშემწეა. 1938 წელს სამუშაოდ იგზავნება მურმანსკში, იყო „მურმანსკთევზმრეწვის" ტრესტის გემშემკეთებელი სახელოსნოების დირექტორი. 1939-1950 წლებში მუშაობდა ქ. მურმანსკის გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორად.

1950 წლის ნოემბერში პ. საპანაძეს მიენიჭა თევზის მრეწველობის ფლოტის მესამე რანგის გენერალ-დირექტორის წოდება. 1950-1960 წლებში მუშაობდა ჩრდილოეთის აუზის მურმანსკის მთავარი სამმართველოს უფროსად, მონაწილეობდა თევზის რესურსების შემსწავლელი და თევზის მრეწველობის საერთაშორისო სესიების მუშაობაში კანადაში.

1960-1972 წლებში პ. საპანაძე საქართველოს თევზის მრეწველობაში მუშაობდა, იგი დიდ პასუხისმგებლობას, საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი მომთხოვნელობას იჩენდა. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

შესანიშნავი სპეციალისტის, ადამიანისა და მოქალაქის პ. საპანაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ნაცნობების გულში.

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო; აზოვისა და შავი ზღვების თევზის მრეწველობის საკავშირო გაერთიანება; საქართველოს კვების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება; „საქთევზმრეწვგასაღების" გაერთიანება; „საქშავზღვათევზმშენის" სამმართველო.

ლიტერატურა და ხელოვნება

## „მთვარის მოტაცების" პრემიერა

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის ახალი ოპერის „მთვარის მოტაცების" პრემიერა.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჟორდანია, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. აზმაიფარაშვილი, მხატვარი — მ. მალაზონია.

პრემიერის დღეს მთავარ პარტიებს შეასრულეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნ. ანდღულაძემ (არზაყანი), გლინკას სახელობის ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატმა ე. ვეზაძემ (თარაში), საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ც. ტატიშვილმა (თამარი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ირ. შუშანიამ (კაც ზვამბაია), საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თ. მუშკუდიანმა (ტარიელი), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ვურგენიძემ (არზაყანის დედა).

ახალი სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ჩვენი სტუმრები

## მოვუსმენთ ბისერკა ცვეიჩს

ხახელმოხვეჭილი იუგოსლავი მომღერალი ქალის ბისერკა ცვეიჩის სახელი ფრიად პოპულარულია საოპერო ხელოვნების მოყვარულთა შორის. იგი ევროპისა და ამერიკის ცნობილი საოპერო თეატრების სასურველი სტუმარია მუდამ. ამჟამად ბისერკა ცვეიჩი ვენის სახელგანთქმული საოპერო თეატრის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტია. ხშირად გამოდის „მეტროპოლიტენ ოპერასა" და „ლა-სკალაში". გასტროლებით აქვს შემოვლილი ბელგია, გერმანია, შვეიცარია, ქალაქები: პარიზი, სტოკჰოლმი, ვენეცია, კოპენჰაგენი, პრაღა და სხვ. პრესა და სპეციალისტი კრიტიკოსები მუდამ ქებით იხსენიებენ მომღერლის გამოსვლებს. მის რეპერტუარშია მეცო-სოპრანოს წამყვანი პარტიები — კარმენი, აიდა, აზუჩენა, დალილა და სხვა. ჩვენს ქვეყანაში იგი პირველად ჩამოვიდა და საგასტროლოდ მოსკოვი, თბილისი და ტალინი აირჩია.

28 თებერვალს ჩვენი სტუმარი გამოვა ოპერა „ტრუბადურში", სადაც აზუჩენას პარტიას შეასრულებს, 2 მარტს კი ოპერა „აიდაში" (ამნერისი) იმღერებს.

მასთან ერთად ამ სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი, და ზ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ც. ტატიშვილი, ო. კუზნეცოვა, შ. კიკნაძე, თ. მუშკუდიანი, ი. შუშანია, თეატრის სოლისტები ე. ჩიხლაძე და დ. ჰოჭინაძე.



რ. მაჩაიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

„კომუნისტის" ფოსტიდან

## მკითხველი გვამცნობს

კონკურს-ვიქტორინა ქარხანაში

ბათუმი. ახლახან საუკეთესო ხარატისა და მლარავის წოდების მოსაპოვებლად ელექტრომექანიკურ ქარხანაში კონკურს-ვიქტორინა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული 16 ახალგაზრდა მუშა.

კონკურს-ვიქტორინა ითვალისწინებდა ტექნოლოგიური ნახაზის მიხედვით დეტალების დამზადებასა და თეორიული ცოდნის დონის შემოწმებას.

კონკურსში გაიმარჯვა და საუკეთესო ხარატის წოდება მოიპოვა გ. ნუუნიმ, ხოლო მლარავისა — ა. ხევასტოვმა.

გამარჯვებულები საპატიო სიგელებითა და სამახსოვრო სუვენირებით დაჯილდოვდნენ.

შ. დევაძე,
გაზეთ „კომუნისტის" მუშკორი.

ახალმოსახლეობა

ხელვაჩაური. № 2 სამშენებლო ტრესტის № 45 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ მახვილაურის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებისათვის 12-ბინიანი კაპიტალური შენობა ააგო. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა ახალმოსახლეობა უკვე იზეიმეს.

ი. კილაძე.

შეხვედრა შრომის გმირებთან

ცხაკაია. თეკლათის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სოციალისტური შრომის გმირს, შრომის ვეტერან ბაგრატ გვიჩიას შეხვედრა მოუწყვეს. მოსწავლეებმა სტუმარს თავიანთი მიღწევები გააცნეს სწავლასა და შრომაში, ბაგრატ გვიჩია კი მათ თავისი ცხოვრებისა და შრომის შესახებ ესაუბრა.

ნ. ჯღარკავა.

## კოლექციას შეემატა ბეგონია

იშვიათი ჯიშის ყვავილით ბეგონია „ტუბეროზით" შეივსო პ. მამულაშვილის ბეგონიების კოლექცია მცხეთაში. ახლა კოლექციაში შედის ათი სხვადასხვა ჯიშის ეს ლამაზი მცენარე.

პელაგია მამულაშვილი სახელგანთქმული მეყვავილის მიხეილ მამულაშვილის ქალიშვილია, რომელმაც ჩვენი საუკუნის დამდეგს გააშენა უჩვეულო სილამაზის ბაღი, სადაც თავმოყრილია იშვიათი ჯიშის, საჯეობის, ფორმის ყვავილები. აქ განსაკუთრებით ლამაზია დეკორატიული კუთხეები. ნიჭიერმა მეყვავილემ ხის ფესვების, ქვის ნამტვრევების, ხის ტოტებისაგან ორიგინალური კომპოზიციები შექმნა, რომლებიც ასახავენ სცენებს ქართული ხალხური ზღაპრებიდან, ქართული სოფლის ცხოვრების ნათელ სურათებს.

ეს ბაღი მცხეთის ნამდვილ ღირსშესანიშნაობად, მის მშვენებად იქცა. აქ ყოველდღიურად მრავალი ტურისტი მოდის, რომ დატკბეს მისაყის კოლექციებით, რომლებიც ორანჟერიის მინის სახურავქვეშ იზრდებიან, იშვიათი ჯიშის კაქტუსებით, რომელთა მრავალი სახეობაა აქ თავმოყრილი, აგრეთვე ასობით დასახელების ყვავილებით.

პელაგია მამულაშვილმა მამისაგან, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისაგან, მემკვიდრეობად მიიღო ბუნების დიდი სიყვარული. იგი მზრუნველად უვლის ბუნების ამ წარმტაც კუთხეს. იგი საუკეთესო ბაღისათვის მცხეთის საქალაქო საბჭოს მიერ დაწესებული კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეა და დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივ მუშაობას, კონსულტაციას უწევს მოყვარულ მებაღეებს, თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს უძველესი დედაქალაქის სანიმუშო ქალაქ-ბაღად გადაქცევაში. (საქინფორმი).

მზიანი დღე და ბავშვები





[illegible]





ფეხბურთი

## დინამოელები ემზადებიან

ახლა, როცა ყოველი დღე გვიახლოებს წლევანდელი საფეხბურთო სეზონის დაწყებას, ცხადია, მკითხველი გარკვეულ ინტერესს იჩენს იმისადმი, თუ როგორ ემზადება საქართველოს საუკეთესო გუნდი — თბილისის „დინამო"! თბილისელმა ფეხბურთელებმა მზადების პირველი ეტაპი განვლეს შავიზღვისპირეთში, სოხუმის მახლობლად მდებარე ბაზა „ეშერაში". მეორე, შედარებით მოკლევადიანი ეტაპი მათ თბილისსა და რუსთავში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების დონეზე ორი საკონტროლო მატჩის გამართვას დაუთმეს. თბილისის ძმადნაფიცი ქალაქის ლუბლიანის ფეხბურთელებთან ორივე შეხვედრა დინამოელებმა კარგად ჩაატარეს.

ორივე მატჩში უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა 15-15 ფეხბურთელს მისცა საშუალება თავი გამოეჩინა. ცხადია, ახლაც და მზადების მომდევნო პერიოდშიც გუნდის ხელმძღვანელობა ეცდება რაც შეიძლება სწორი შეხედულება შეიქმნას ამა თუ იმ მოთამაშეზე. მზადების ამ მეტად პასუხსაგებ პერიოდში უნდა დადგინდეს გუნდის ძირითადი შემადგენლობა და, ბუნებრივია, შეირჩეს ის დამხმარე ძალებიც, რომლებმაც საჭიროების შემთხვევაში უნდა შეცვალონ თავიანთი ამხანაგები. თბილისისა და რუსთავის მატჩების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დინამოელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ლუბლიანის „ოლიმპია" შარშანდელთან შედარებით ახლა უფრო ძლიერ კოლექტივად წარმოგვიჩინა, ურიგოდ არ ითამაშეს. მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ საკავშირო თასის გათამაშებისა და საკავშირო ჩემპიონატისათვის მზადების ადრეულ ეტაპზე — თებერვლისათვის დინამოელები უკვე საკმაოდ შეხმატკბილებულ კოლექტივად წარმოგვიდგნენ, არამედ ისიც, რომ ძნელად სათამაშო მინდორზეც კი გუნდის წევრთა ურთიერთმოქმედება უმეტეს წილად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ რუსთავის მატჩში ყიფიანის მიერ 37-ე წუთზე ულამაზესად გატანილი გოლი. იგი ისეთ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, რომლებსაც ფეხბურთის მოყვარულები წლების მანძილზე არ ივიწყებენ. მან მეტოქის კარიდან დაახლოებით 28 მეტრზე მიიღო ბურთი, ჯერ ერთ მეტოქეს გადაატარა იგი თავზე, მერე მეორეს რაღაც წამებში მოუგო ორთაბრძოლა, მესამე კი ენით აუწერელი იმპროვიზაციით მოატყუა და შორიდან ძლიერი დარტყმით ბრწყინვალე გოლით დააგვირგვინა თავისი სოლური კომბინაცია. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რთული კომბინაციის დროს ბურთი ერთხელაც არ შეხებია მინდორს.

თბილისის დინამოელები გუშინ გაემგზავრნენ ლესელიძეში და იქ გაივლიან მზადების მესამე ეტაპს. დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა განაცხადა, რომ ამჯერად ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავენ: 27 თებერვალს — ორჯონიკიძის „სპარტაკთან", 4 მარტს — დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან", 8 მარტს — ალმა-ათის „კაირატთან", 11 მარტს — დონეცკის „შახტიორთან". შემდეგ კი დინამოელები სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ჩაებმებიან.

ერთი სიტყვით, დინამოელთა მზადებას კარგი პირი უჩანს, ფეხბურთის სპეციალისტებიც და ამ დიდებული თამაშის მოყვარულებიც იმედის თვალით შესცქერიან რესპუბლიკის უპირველესი გუნდის პასუხსაგები მატჩებისთვის მზადების პროცესს. ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე დიდი დრო არ დარჩა, და ცხადია, დინამოელებმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ იმისათვის, რათა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ საფეხბურთო ბატალიებს.

ჯ. ენუქიძე.

### 2 მარტს — სევილიაში, 15 მარტს — თბილისში

მოსკოვის დინამოელები 2 მარტს გამართავენ თასების თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩს სევილიაში ადგილობრივ „რეალ-ბეტისთან".

„დინამოს" შემადგენლობაშია 17 ფეხბურთელი: მეკარეები — ნ. გონტარი და ვ. პილგუი, მცველები — ს. ნიკულინი, ო. დოლმატოვი, ა. ნოვიკოვი, ა. ბუბნოვი, ა. პაროვი, ნახევარმცველები — ა. მაქსიმენკოვი, ა. მინაევი, ა. პეტრუშინი, ა. იაკუბიკი, ნ. ტოლსტიხი, ა. სტარკოვი, თავდამსხმელები — ს. გერშკოვიჩი, ვ. კაზაჩენოკი, ნ. კოლესოვი და თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე ზ. წერეთელი.

„რეალ-ბეტისთან" განმეორებითი მატჩი 15 მარტს თბილისში გაიმართება. სევილიაში ჩასვლამდე დინამოელები ბელგიაში, „ანტვერპენთან" გამართავენ საკონტროლო მატჩს.

### თასის გათამაშების პირველი მატჩი

ხოეში გაიმართა პირველი ოცდამეთორმეტედფინალური შეხვედრა სსრ კავშირის თასზე იაროსლავლის „შინიკისა" და კრასნოდარის „კუბანის" ფეხბურთელებს შორის. გაიმარჯვეს იაროსლაველებმა ანგარიშით 1:0. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი შედგება 28 თებერვალს.

### ახალი ტურნირი

გადაწყდა, რომ წლიდან მოეწყობა ყოველწლიური „ფუტბოლ-ჰოკეის" პრიზის გათამაშება მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ 20 წლამდე სპორტსმენებს.

ტელევიზია

26 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — კინონარკვევი, 09.40 — დოკუმენტური ფილმი, 09.55 — სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები (მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა" (მოსკოვიდან), 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.45 — „ცეროდეხას" ეკრანი" (ქართულ ენაზე), 12.05 — „კინოპანორამა", 12.35 — „საქადრაკო სკოლა", 13.05 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 13.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღარბი და სხვები" (ფერადი), 13.55 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი" (მოსკოვიდან), 15.00 — კინონარკვევი „თქვენი ავტომობილი", 15.10 — ბავშვებისათვის. „აბა, დილია" (ფერადი. განმეორებით), 15.45 — „ხუთწლედის წინა ხაზზე" სატელევიზიო პროგრამა, 16.25 — „კინოს მოყვარულთათვის", 17.40 — საერთაშორისო პანორამა (მოსკოვიდან), 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — ქართული სატელევიზიო ფილმი „წელი 1977" სერიიდან „საბჭოთა საქართველოს მატიანე". პრემიერა, 19.40 — „კინომოგზაურობის კლუბი" (მოსკოვიდან), 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე" I სერია (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, 22.30 — „საშინაო მიმოხილვა", 23.10 — „მუსიკალური შეხვედრები" (ფერადი).

მეორე პროგრამით

17.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ყველაფერი თავიდან", 18.05 — საესტრადო კონცერტი, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ასეთი განსხვავებული ხასიათები", 19.40 — მხატვრული ფილმი „ჩემი მშვენიერი რობინზონი".

თეატრი

26 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (დღისით), ქეთო და კოტე (საღამოს); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), სამანიშვილის დედინაცვალი (საღამოს. 57-ე საშუალო სკოლისათვის); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ხანუმა (დღისით), ჩანჩურა (საღამოს); მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო — გამარჯვების დღე?; ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია — კაცის ტვირთი.

ბუნება

## როგორი იქნება გაზაფხულის წყალდიდობა!

23 თებერვალს ღამით საქართველოს ტერიტორიაზე ზამთარმა კვლავ მოიქნია კუდი. თბილისში თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტი 3 გრადუსამდე დაეშვა, წალკაში — 20, მანგლისში — 16, ხოლო ბაკურიანში მინუს 18 გრადუსამდე. იმ ღამეს შედარებით აცივდა შავი ზღვის სანაპიროზეც: სოხუმში თერმომეტრმა მხოლოდ ორი გრადუსი სითბო უჩვენა. და მაინც გაზაფხული თავისას შვრება, ხან თბილი ქარი დაქროლავს, ხან ლურჯ ცაზე ქათქათა ღრუბლების გუნდი კრავებივით გამოეფინება. გაზაფხულზე უკვე ქართველი ჰიდრომეტეოროლოგებიც ფიქრობენ.

რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს თბილისის ამინდის ბიუროს ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების სპეციალისტებმა შეადგინეს გაზაფხულის წყალდიდობის წინასწარი პროგნოზი. ჰიდროლოგთა ვარაუდით წელს იგი თითქმის ჩვეულებრივ დროს — მარტის მეორე დეკადის დამლევსა და მესამე დეკადის დამდეგს დაიწყება. მანამდე კი მდინარეებში შეიძლება რამდენადმე მოიმატოს ან დაიკლოს წყლის დონემ, რასაც გამოიწვევს კავკასიონის მთებში ჰაერის ტემპერატურის ცვლილებები, და, მაშასადამე, მაღალმთიან ადგილებში თოვლის უმნიშვნელო დნობა.

1977 წლის ზაფხულ-შემოდგომის პერიოდი წინა წლის პერიოდისაგან გამოირჩეოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექებით, რომლებიც დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოვიდა და საშუალო რაოდენობით — აღმოსავლეთ საქართველოში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ჰიდროპროგნოზების განყოფილების უფროსმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. გველაშვილმა. — მაგრამ, ზამთარმა გარკვეული კორექტივები შეიტანა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათ განაწილებაში. მაგალითად, მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოში ნალექები ნორმის ფარგლებში იყო, ხოლო კახეთის საზღვრეთ ნაწილში — 15-20 პროცენტით მეტი, ვიდრე მრავალი წლის მანძილზე, დასავლეთ საქართველოში ნორმაზე 20-30 პროცენტით ნაკლები. ამრიგად, 1977 წლის აგვისტოდან 1978 წლის თებერვლამდე ნალექი თოვლის სახით საქართველოს ტერიტორიაზე დაგროვდა ჩვეულებრივი ოდენობის ფარგლებში. მარტო ალაზნის, ივრისა და მაშავერის აუზებში ამ პერიოდში ნორმაზე 20-30 პროცენტით მეტი ნალექი დაგროვდა.

ვითვალისწინებთ რა, რომ თოვლის საფარი საქართველოს ტერიტორიაზე ახლა, ძირითადად, მაღალმთიანეთის საშუალო და ზედა ზონებში დევს, ხოლო ჰაერის ტემპერატურა მარტში ნორმის ფარგლებშია მოსალოდნელი, გაზაფხულის საერთოდ მშვიდი წყალდიდობის დაწყებაც ნორმალურ ვადებში მოხდება. რამდენადმე უფრო წყალუხვი იქნება იგი მხოლოდ არაგვზე, იორზე, ალაზანსა და ხრამზე.

(საქინფორმი).

მოდის მსხვერპლი

## სენს „ანორექსია" ჰქვია

კანადელი მედიკოსები სულ უფრო ხშირად აწყდებიან ავადმყოფობას, რომელიც წინათ ყურმოკრულად თუ იცოდნენ.

ამ სენს უწოდებენ „ანორექსიას", რაც ჭამისაგან თავშეკავებას ნიშნავს. ავადმყოფი კატეგორიულად უარს ამბობს ჭამაზე, ითვლის კალორიას ებრძვის, რის გამოც სწრაფად იკლებს წონაში. აქაურმა ჟურნალმა „მაკლინზმა" გამოაქვეყნა ანორექსიით მსხვერპლის ფოტოსურათი: ცარიელი ძვალი და ტყავია, თავისუფლად შეგვიძლია ცოცხალ ადამიანზე ისწავლოთ ანატომია.

ანორექსია მდიდრების ნესტომხია, შენიშნავს ჟურნალი. სიგამხდრე მოდაში შემოვიდა, მოდა კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე დასავლეთში, ისტერიაში გადაიზარდა.

სოკოებივით მრავლდება ფიზიოთერაპიული კლინიკები, სადაც მსურველთ რიგიან საფასურად ქონს აყრევინებენ. თავისუფლად დაპარპაშებენ გარეწრები და თვითმარქვიები, რომლებიც სხვადასხვა დიეტის „სრულიად თანამედროვე" რეცეპტებით დანებაყოფლობითი შიმშილობის მეთოდებით ვაჭრობენ. ზოგი პაციენტი დროზე მოდის გონს და თავს ანებებს ამგვარ „მკურნალობას", სხვანი საკუთარ თავზე კონტროლს კარგავენ და ანორექსიით დაავადებულთა კატეგორიაში გადადიან. (ახალი ამბების სააგენტო).

## კლიენტი და ჯიბე

სიმართლე ხუმრობით

„რწყილი და ჭიანჭველას" მიხედვით

კლიენტი და ჯიბე დამმობილდნენ.

გამოხდა ხანი.

ჯიბე გასაჭირში ჩავარდა.

კლიენტი ახტა, დახტა და მივიდა გამყიდველთან.

— გამყიდველო: მომეც შვება, შვებას მივუტან ჩემ ძმობილ ჯიბეს და გაჭირვებიდან ამოვაო.

გამყიდველმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის სექციის გამგე არ მოგიშორებიაო?!

კლიენტი ახტა, დახტა და მივიდა სექციის გამგესთან.

— სექციის გამგევ! მოეშვი გამყიდველს, გამყიდველი მომცემს შვებას, შვებას მივუტან ჩემ ძმობილ ჯიბეს და გაჭირვებიდან ამოვაო.

სექციის გამგემ უთხრა: შენ რომ ჩემთვის დირექტორი არ მოგიცილებიაო?!

კლიენტი ახტა, დახტა და მივიდა დირექტორთან.

— დირექტორო! მოეშვი სექციის გამგეს, სექციის გამგე ჩამოსცილდება გამყიდველს, გამყიდველი მომცემს შვებას, შვებას მივუტან ჩემ ძმობილ ჯიბეს და გაჭირვებიდან ამოვაო.

დირექტორმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის ხელში შემყურე არ ჩამოგიშორებიაო"!

კლიენტი ახტა, დახტა და მივიდა ხელში შემყურესთან.

— ხელში შემყურევ! შეეშვი დირექტორს, დირექტორი მოეშვება სექციის გამგეს, სექციის გამგე ჩამოცილდება გამყიდველს, გამყიდველი მომცემს შვებას, შვებას მივუტან ჩემს ძმობილ ჯიბეს და გაჭირვებიდან ამოვაო.

ამ დროს ჩამოიარა ბრძენკაცმა და კლიენტი ანუგეშა:

— ცოტაც მოითმინე, ჩემო ძმაო და ნამდვილად მოესწრები, რომ ხელში შემყურე ჩამოშორდეს დირექტორს, დირექტორი მოეშვას სექციის გამგეს, სექციის გამგე ჩამოსცილდეს გამყიდველს, გამყიდველმა მოგცეს შვება, შვება მიუტანო შენს ძმობილ ჯიბეს და ორივენი გაჭირვებიდან ამოხვიდეთო.

ვ. ჯავრიშვილი.



ა. კანდელაკის ნახატი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-69, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უე 07699
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14